პარასკევი 29 მაისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ც ა ლ კ ე ნ უ მ ე რ ი ე რ თ ი შ ა უ რ ი. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი [illegible]
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 90 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 90

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ო. ნიჟარაძე ამით აცნობებს საზოგადოებას, რომ 30 ამა მაისს, დღით შაბათს, დღის 12 საათზე, ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა ყოფილის წინამძღოლის თავ.

ვარლამ მიხეილის ძის ერისთავის

სულის მოსახსენებლათ.

---

შაბათს, 30 მაისს, საფიჩხიის ეკლესიაში, გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

მიტუშა ერისთავის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის გულდათუთქული მშობლები და ნათესავები. 2—2

---

კნ. ცაცანო ნიკოლოზის ასული ერისთავისა კნ. ოლია ვარლამის ასული ერისთავისა და თავადი მიხაკო ვარლამის ძე ერისთავი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 26 ამა მაისს—პირველი დაუვიწყარი მეუღლისა და მეორენი ძვირფასის მამისა

თავადის ვარლამ მიხეილის ძის ერისთავისას.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე საკუთარ ბინაზე კაზაკოვის ქუჩაზე, ანანიაშვილის სახლში; გამოსვენება ბინიდან საფირჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავად კვირას, 31 მაისს, ნაშუადღევს 4 სათზე.
4—2—226.

---

უზომო მწუხარებაში მყოფნი როსტომ გიორგისძე ბარათაშვილი და მეუღლე მისი ეთერ ნიკოლოზის ასული ბარათაშვილისა უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა ნაცნობთა, და მეგობართ, რომ შაბათს, 30 მაისს, საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი და უსაყვარელისი ერთად ერთ შვილის

სევერიანე როსტომის ძის ბარათაშვილის

სულის მოსახსანებლათ.

პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე. გულდათუთქულნი ჭირისუფალნი სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრენ წირვასა და პანაშვიდს.
1—1—228

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის
კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელი
ამ ზაფხულს რჩება ქუთაისში და განაგრძნობს ავადმყოფების მიღებას ძველ ბინაზე დანიშნულ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, საკუთარი სახხლი. 11—1

ექიმი ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

კბილის ექიმები
მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.
ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

ელექტრო თეატრი „რ ა დ ი უ მ ი“
საზაფხულო შენობა.
ხუთშაბათიდან, 28 მაისიდან, არაჩვეულებრივი პროგრამა.

I. სამხრეთის ისპანია.
II. მაგარი სილა.
კომიკური.
სენსაცია! III. სენსაცია!
წარსული შედეგები.
ძლიერი დრამა 3 ნაწილათ.

პროგრამის გარეშე!
ტელეგ. ალ. მაკუხას გმირობა!
ძლიერი დრ. ორ ნაწ. სამხედ. ცხოვრ.
I. ნ. გამბედავს ღმერთი ეხმარება!
II. ნაწ. ავსტრიელების სიმხეცე!
დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
ფასები ცოტათი აწეულია.

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება სენსაც. სურათი: პერემიშლის აღება.
2 ნაწ. სკობელევის კომიტეტის სურათი.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის მძ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდგან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამობით. თ.

# ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

## აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 27 მაისი. ოფიციალური მთავარ-სარდლის შტაბისაგან. შავლის რაიონში 25-სა და 26-ს ბრძოლა გრძელდებოდა. კოვნოს გზით ნემანსა და ვერჟბოლოვოს მიმავალ რკინის გზის შუა მტერმა წინ წაიწია კოზლოვოში და რუდსკის ტყეში. დნესტრზე ჩვენ მოვიგერეთ 26-ს მტრის იერიშები გარტსბერგ-ჟიდაჩევის ფრონტზე. ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 800 კაცი ათი აფიცრით, ვიხელთეთ 5 ტყვის მტყორცნელი.. დნესტრის მარცხენა ნაპირზე, ჟურავნოსთან გადმოსულ მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლა გრძელდება.

შავი ზღვის ფლოტმა ზუნგულდაკსა და კოზლუს ცეცხლი დაუშინა. ქვანახშირის მისაწოდებელი გადარჩენილი შენობები დაინგრა. ჩვენმა ფლოტმა ჩასძირა ოსმალოთა ორი გემი.

## „მეჯიდიეს“ აოღება.

**ადესა.** 26 მაისი. ოსმალოთა სასაფლაოზე დაასაფლავეს „მეჯიდიე“-ზე ნახული ოსმალოთა 45 გვამი.

## ტყვეების დათვალიერება.

**კოპენჰაგენი.** 26 მაისი. კოპენჰაგენის წითელი ჯვრის საშუალებით რუსეთის მთავრობამ სთხოვა გერმანიისას, ნება დართოს რუსეთის მთავრობის წარმომადგენელს დაათვალიეროს რუსეთის ტყვეთა ბანაკი. გერმანიის სამხედრო სამინისტრო დასთანხმდა ამ წინადადებაზე იმ პირობით, თუ რუსეთის მთავრობაც ნებას დართავს გერმანიის დელეგატებს დაათვალიერონ გერმანიის სამხედრო ტყვეების ბანაკი: დელეგატები დანიის წარმომადგენლების თანხლებით იმოგზაურებენ.

## დასავლეთის ასპარეზი.

ბელგიის ჯარის მოქმედება.

**პარიზი.** 27 მაისი. ბელგიის შტაბის ოფიციალური ცნობა. მთელ ფრონტზე 24-სა და 25-ს არტილერიის განუწყვეტელი სროლა იყო. 25-ს სასტიკი სროლა იყო დიქსმიუდეს სამხრეთის სანგრებთან და სტიუვენკერკის და რამსკაპელეს სამხრეთით. ჩვენმა არტილერიამ გაფანტა გერმანიის მუშები ბრესულუტის ახლოს.

**პარიზი.** 26 მაისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ნოტრდამ-დე-ლორეტის რაიონში არტილერიის ბრძოლა იყო. ჩვენმა ქვეითა ჯარმა გაამაგრა ამას წინათ აღებული ადგილები და წინაც წაიწია. ნევილსენვასტან ჩვენ ავიღეთ სრულიათ სახლების ერთი რიგი ვილების დასავლეთით, მთავარ ქუჩაზე კი დავიკავეთ სახლების ერთი რიგი ქუჩის ჩრდილო ნაწილში. ლაბირინტში ჩვენმა ჯარმა მოიგერა მტრის იერიში. ებიუტერნის სამხრეთით მიუხედავათ მტრის სასტიკი იერიშისა ჩვენ შევინარჩუნეთ გუშინ და ღამით აღებული პოზიციები. აქ ავტომობილებით არასის აღმოსავლეთიდან მოყვანილმა მტრის ორმა ბათალიონმა უშედეგოთ მოიტანა იერიში. ენის სამხრეთით მტერმა გუშინ აღებულ სანგართა წინააღმდეგ სასტიკი იერიში მოიტანა მულენ-სუტუვენთან.

## საზღვაო შტაბის ახალი უფროსი.

**პარიზი.** 26 მაისი. საზღვაო შტაბის უფროსათ დაინიშნა ვიცე-ადმირალი ფოკე-დე-ჟონიერი.

## სამხედრო მინისტრის ამხანაგი.

**პარიზი.** 27 მაისი ბრიგადის გენერალი და გეოგრაფიული განყოფილების დირექტორი ბურჟუა დაინიშნა სამხედრო მინისტრის ამხანაგის თანაშემწეთ.

## ი ტ ა ლ ი ა.

**რომი.** 26 მაისი. იტალიის მთავრობას ცნობა არა აქვს რომში გინდენბურგის (გერმანიის საელჩოს მრჩეველი) ყოფნის შესახებ, ამავე დროს იგი რამდენიმე პირს ქუჩაზე შეუმჩნევია. პოლიცია მის კვალს დაეძებს.

## ჰაეროპლანები ვენეციაზე.

**რომი.** 26 მაისი. ვენეციაზე გამოჩნდა დილით მტრის ჰაეროპლანი და რამდენიმე ყუმბარა ჩამოყარა, რომლითაც რამდენიმე კერძო შენობა დაზიანდა. ერთი ქალი მსუბუქად ხელში დაიჭრა, და ერთი ქალიშვილიც თავში. რამდენიმე ყუმბარა დაეცა აგრეთვე ნაპირის სხვა ადგილებშიაც, სადაც მოკვდა ერთი კაცი და რამდენიმე დაიჭრა.

## დ ა რ დ ა ნ ე ლ ი.

**ათინა.** 27 მაისი. მიტილენიდან იუწყებიან, მოკავშირეთა ფლოტმა ალყა შემოარტყა აზიის სანაპიროებს, ნახევარ კუნძულზე ცხარე ბრძოლა გრძელდება: მოკავშირეებმა საგრძნობლათ წაიწიეს წინ. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ბოლგარიით მოვიდა 117 გერმანელი აფიცერი და ჯარისკაცი დარდანელში მონაწილეობის მისაღებათ.

## ავსტრიის დეპუტატების დასჯა.

**ციურიხი.** 26 მაისი. კერძო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ჩეხიის დეპუტატს ფიშერს ბრნოდან სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, ვითომდა რუსების პროკლამაციების გავრცელებისათვის. ბრნოს სასამართლო პალატის წევრს დეპუტატ ბლიმას გადაუწყვიტეს 5 წლის ციხე. მორავიის კიიოვში დახვრიტეს 12 კაცი

## სერბიის ასპარეზი.

**ნიში.** 26 მაისი. ალბანელთა ბრბო განდევნეს და მათ წინააღმდეგობა აღარ შეუძლიათ, მათმა მეთაურმა დამალვა მოასწრო. სერბიის ჯარმა დაიკავა რამდენიმე სტრატეგიული ადგილი, რადგან საჭიროა ამ მხარეში მშვიდობიანობის დაცვა და ალბანელებისაგან ხელ-მეორეთ თავდაცემის აშორება.

## ნორვეგიის გემის ჩაძირვა.

**ლონდონი.** 27 მაისი. ირლანდიის ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ნორვეგიის გემი „ტრუნდვანგი“, კომანდა გადარჩა.

## ს პ ა რ ს ე თ ი.

**ისპაანი.** ოთხი გერმანელი შეიარაღებული მხედრების თანხლებით კერმანში წავიდა საავიტაციოთ. შემდეგ წავლენ ავღანისტანსა და ინდოეთში.

## ბრაიანის გადადგომა.

**ვაშინგტონი.** 26 მაისი. ბრაიანმა გადადგომის თხოვნა შეიტანა. ვილსონმა თხოვნა შეიწყნარა.

## ჩინეთი და იაპონია.

**ტოკიო.** 26 მაისი. იმ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, რომელიც დამყარდა ჩინეთსა და იაპონიის შუა ახალი ხელშეკრულების ძალით იაპონიის მთავრობამ საჭიროთ სცნო პეკინის მისსიის საელჩოთ გადაკეთება.

**ტოკიო.** 26 მაისი. აქ მოვიდენ გადაყენებული დინასტიის რწმუნებულნი და იაპონელებს შეაძლიეს იყიდონ დინასტიის კუთვნილი ჩრდილო მანჯურიაში სამი მილიონი დესეტინა ადგილი.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

## სამხედრო ცნობები.

ჰოლანდიიდან იტყობინებიან, რომ სარწმუნო წყაროების ცნობების თანახმად, გერმანელებმა იპრთან 150000 კაცზე მეტი დაკარგესო. ამას გარდა, მოკავშირეებს აქ ხელში ჩაუგდიათ ბევრი იარაღი.

ჰოლანდიის გაზეთების ცნობით, ზეზანგოდან, ლაშერდინგიდან, ბრიტანიდან, ელბერდინგიდან, ვესტენიდან, იპრადან და პოპერინგიდან მცხოვრებლების უმრავლესობა გაიქცა მომშხამველ გაზის გამო. მომწამვლელ გაზისაგან ბევრი მომკდარა, ბევრი ქალი და ბავში უნახავთ გულ შემოყრილი. ყველანი საავათმყოფოებში მოუთავსებიათ. დაწვრილებითი ცნობები მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ ჯერ არ იციან.

გაზ. „დეილ ნევს“ ცნობით, გერმანელები ენერგიულათ ამაგრებენ მეორე თავდასაცავ ხაზს იმ შემთხვევისათვის, თუ მოკავშირეები პირველს გაარღვევენ. ეს მეორე თავდასაცავი ხაზი გაკეთებულია ბრიუგესა და გენტის დასავლეთით და იფარავს ზეებრიუგეს, რომელიც გერმანელებისათვის საზღვაო ბაზას წარმოადგენს. ამას გარდა გერმანელებს სანგრები გაკეთებული აქვთ კურტრემდი, რომელიც ჩრდილოეთის ბაზათ ექნებათ და დაიფარავენ ტურნე-ანტუან-ლილის სიმაგრეს.

შვეიცარიის გაზეთების ცნობით ბელგიის ჯარი ამ ჟამათ 6 დივიზიისაგან შესდგება. თითოეულ დივიზიაში 20,000 კაცია. აქიდან 5 დივიზია მოწინავე პოზიციაზე იმოქმედებს, მეექვსე კი საერთო რეზევრში ეყოლებათ. სულიერი განწყობილება ბელგიის ჯარში ჩინებულია. სანიტარული მდგომარეობა საუცხოვო. ბელგიის ახალგაზდები აღფრთოვანებულნი პატრიოტული გრძნობით, სიამოვნებით ეწერებიან ჯარში და ხალისიანათ ვარჯიშობენ სხვა და სხვა ადგილას.

### ალბანიაში.

ამ უკანასკნელ დროს ალბანეთში მოდგმებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა. ერთი მხრით კერძო რაზმები ავსტრიელების აგიტაციის ზეგავლენით თავს ესხმიან სერბიის ტერიტორიას და მზათ არიან გაემართონ ვალონისკენ; მეორეს მხრით, იტალიელების აგიტაციის გავლენით მეორენი მოითხოვენ კორპუსის შედგენას და სერბიელებთან ერთად იტალიელების ხელმძღვანელობით ავსტრიის წინააღმდეგ გალაშქრებას. ფიქრობენ ასეთი განხეთქილება მცხოვრებლებში საერთო აჯანყებას და შურისძიებას გამოიწვევსო.

### საბერძნეთში.

სალონიკიდან „პოლიტიკენ“-ს ატყობინებენ, რომ საბერძნეთის ერის მოთმინების ფიალა აივსო. მთელი ხალხი მოითხოვს ვენიზელოსის დაბრუნებასაო.

### იტალიაში.

კოპენჰაგენიდან ცნობაა, რომ სალანდრამ დეპუტატებსა და სენატორებს წერილებით მიმართაო. წერილების შინაარსი შემდეგია:

„იტალია არ საჭიროებს ახალი ჯარის მოგროვებას, რადგან მისი დიდრიცხოვანი ჯარი კარგათ გაწვრთნილია და ყველა საჭირო საგნით შეიარაღებულიაო. მე მსურდა მხოლოდ, ამბობს სალანდრა, რომ საზოგადოებამ ერთსულოვნათ იმოქმედოს ჯარის კაცთა ოჯახების დახმარების საქმეში, ვინაიდან მარტო მთავრობა ვერ შესძლებს შესაფერათ დააკმაყოფილოს ყველას მოთხოვნილებაო.

ჩემის აზრით, ამისათვის საკმარისია მხოლოდ ადგილობრივი ავტონომიური და თავისუფალი კომიტეტების დაარსება მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზეო.

დამხმარე ორგანიზაციების სათავეში-კი პარლამენტის წევრები უნდა იყვნენო.

# შინაური მორიგება და გერმანიის სოც.-დემოკრატია.

## IV.

(იხილე „სამშობლო“ № 89).

კარლ კაუცკის აზრით ომი განსაკუთრებით კაპიტალისტურ ხანაში ბევრი მხრით გავს საშინელ და მძაფრ რევოლიუციას. ამ დებულებას დღევანდელი მსოფლიო ომი სავსებით ამართლებს.

ერთი „დაკვრით“ შეწყვიტა მან საუკუნეებით გამტკიცებული საერთაშორისო კავშირი: გერმანია, ინგლისი, ავსტრია, ოსმალეთი დღეს ალყა შემორტყმულ ციხეებს ჰგვანან; დანამდვილებით არც ვიცით, თუ რა ხდება ამ ქვეყნებში. მეათე თვეა, რაც ომი დაიწყო და დღემდე ერთი სიტყვაც არ თქმულა რუსეთის პრესაში, თუ რა ცვლილებებს განიცდის მაგალითად ავსტრიის სოციალ-დემოკრატია, საზოგადოთ და რა პოზიცია უჭირავს მას, მაგალითად, ამ ომის დროს ნაციონალურ საკითხის შესახებ. ყველგან, ყველა ქვეყნებში სამხედრო დიკტატურა გამეფდა, ყველგან სამხედრო ცენზურა მოქმედობს და რაც ომის ინტერესებს ეწინააღმდეგება, მას აღარ გვატყობინებენ.

ამიტომ საკვირველი როდია, თუ დღევანდელმა ომმა „ერთი დაკვრითვე“ შეაჩერა საერთაშორისო შეგნებულ მუშათა „ინტერნაციონალი“ და ყველა ქვეყნების სოციალ-დემოკრატია თავთავის სამშობლოს ზღუდეთა შორის მოამწყვდია.

არც ისაა საკვირველი, რომ ყველა ქვეყნებში სოციალ-დემოკრატთა შორის ომმა დიდი უთანხმოება დაბადა, მრავალ სადაო კითხვათა გამო კამათი გაამწვავა და „ფრაქციული შუღლი და მტრობა“ ხელახლა გააღვივა. ეს ომის უარყოფითი ერთი მხარეთაგანია. ომს თავისი დადებითი რევოლიუციონური მხარეებიცა აქვს და ეს ჯერ-ჯერობით ევროპაში „შინაურ მორიგების“ ფორმით გამოიხატა.

მაგრამ ეს „შინაური მორიგება“ ბევრისთვის, განსაკუთრებით გერმანიის სოციალ-დემოკრატიისათვის საბედისწერო გახდა; ბევრმა გადაჭარბებით დაუფასა „შინაური მორიგებით“ გამოწვეული მთავრობის დათმობა-კომპრომისები; ბევრი კიდევ „საღვთო ერთობის“ ძალას დაემორჩილა და სამშობლოს ინტერესების დაცვამ გაიტაცა. ცხადია ამას ვერც გერმანიის მტკიცე და დისციპლინით ქმნული უძლიერესი პარტია აშორიდა. მით უფრო, რომ იქ პარტიაში თავიდანვე იყო გამეფებული თეორეტიული უთანხმოება, ეგრეთ წოდებული „რევიზიონიზმი“, რომლის ნიადაგზეც შემთხვევის დროს შესაძლო იყო პარტიული განხეთქილებაც დაბადებულიყო; და აი დღეს მართლაც გერმანიის პარტიაში დიდ უთანხმოება-განხეთქილებას ვხედავთ.

„საკმაოა წაიკითხოთ, სწერს გროსმანი, პარტიის მთავარ ორგანოს—„ფორვერტს“—ერთი მუდმივი განყოფილება — „ხმები პარტიული პრესიდან“, რომ ნათლათ დაინახოთ, თუ რა კონტრასტები აღმოაცენდა სოციალ-დემოკრატიის წიაღიდან. ესეც თავისებური აშკარა ომია. . . . . . .

უთანხმოება-ბრძოლა მათშორის მთელ ხაზზე სწარმოებს. პრაქტიკული პრინციპები, პროგრამული დებულებანი, თეორიული საფუძვლები, ყველა ეს კრიტიკის ქარცეცხლში ტარდება. პარტიის ყველა ლიდერი და მოღვაწე ახლა ერთიმეორეს ედავება, ერთიმეორეს ებრძვის; პარტიული გაზეთები ერთიმეორის წინააღმდეგ არავითარ ღონეს აღარ ზოგავენ და საპარლამენტო ფრაქციებიც ერთმეორის მოწინააღმდეგე ჯგუფებით დაიყვენ“.

ომის გავლენით თითქმის ყველამ ასე თუ ისე შეცვალა თავისი პოზიცია, ზოგმა რყევა დაიწყო და ზოგიც სულ ჩაჩუმდა.

საყურადღებოა და სეოცარიც ის მოვლენა, რომ ბევრი წინანდელი „უკიდურესი“ დღეს პარტიის მარჯვენა მხარეზე დადგა, ხოლო „რევიზიონიზმის“ სულის ჩამდგმელი და მამათ მთავარი ედუარდ ბერნშტეინი მემარცხენეებს მიემხრო და სამხედრო ბიუჯეტის დამტკიცების წინააღმდეგი გახდა.

მხოლოთ სოციალდემოკრატიის მაღალ ნიჭიერი, საქვეყნოთ ცნობილი თეორეტიკოსი კარლ კაუცკი ისევ მტკიცეთ დგას თავის პოზიციაზე და საერთაშორისო პროლეტარიატს შეურყევლათ უქადაგებს შეურყეველ აზრებს. მისი ორგანო-ჟურნალი „ნოიე ცაიტი“ კვლავ ორტოდოქსალურ მარქსიზმის მტკიცეთ დამცველია. მართალია პირველ ხანებში ის თითქო შეჩერდა, გაჩუმდა; მისი არაფერი ისმოდა, მარა ყველა ეს სამხედრო ცენზურის გავლენით უნდა ავხსნათ.

ბევრი მის გაჩუმებას მის თეორიეტიულ დაფანტულებას და გამოურკვევლობას აწერს, რაც, რა თქმა უნდა, კაუცკის შესახებ მაინც ყოვლათ უსაფუძვლოა.

ამ ხანათ საკმაო წყარო არ მოგვეპოვება, რომ მკითხველთ სისწორით და უტყუვრათ გავაცნოთ მისი პოზიცია. კიდევ უფრო დაფარულია ჩვენთვის მეორე სოციალდემოკრატ მეცნიერ-პუბლიცისტის, პარვუსის დებულებები და საბუთები, რომელთა მიხედვით ის „გერმანიის გამარჯვებას“ საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესების სასარგებლოთ თვლის.

სამაგიეროთ პრესიდან ბევრ რასმე ვტყობილობთ ერთი მხრით ახლანდელ გერმანიის „სამხედრო სოციალისტების“ შესახებ და მეორე მხრით კარლ ლიბკნეხტის ჯგუფის მოქმედებაზე.

დ—ელი.

(დასასრული ხვალ).

# „სალიტერატურო დილა“.

მე რომ ნაფიცი კრიტიკოსი ვიყო, ასე მოვიქცეოდი.

ავიღებდი ნებართვას საპოლიციო უბანში, გავმართავდი ლიტერატურულ დილას და შემდეგ ვიტყოდი:

— „მოწყალენო ხელმწიფენო! ჩვენი ქართული ლიტერატურა ღარიბია. ჩვენ არა გვყავს პოეტები“...

სამას სამოცდა სამი პოეტი, რომლებიც უსათუოთ იქნებოდნენ მაყურებელთა შორის ამ სიტყვებზე ფეხზე წამოდგებოდნენ.

— ჩვენ და არა პოეტნი!..

იტყოდნენ ისინი.

მაგრამ მე მაინც განვაგრძობდი:

„ჩვენ არა გვყავს არამც თუ პოეტები, ჩვენ არა გვყავს ბელეტრისტებიც“.

და სამას სამოცდა სამი ბელეტრისტი, რომლებიც უსათუოთ იქნებოდნენ მაყურებელთა შორის—ფეხზედ წამოდგებოდნენ:

— ჩვენ და არა ბელეტრისტნი!

იტყოდნენ ისინი

მაგრამ მე მაინც განვაგრძობდი:

„ეს არაფერია, რომ ჩვენ არა გვყავან პოეტები, არა გვყავან ბელეტრისტები.

მოწყალენო ხელმწიფენო, ჩვენ არა გვყავან დრამატურგებიც...“

ადგებოდნენ დრამატურგებიც.

— განა ჩვენ დრამატურგები არა ვართ?!...

იტყოდნენ ისინი გაოცებით. მაგრამ მე მაინც ჩემსას ვიტყოდი:

„და არამც თუ დრამატურგები, ჩვენ არა გვყავან კრიტიკოსებიც“...

— მაშ ვინა ვართ ჩვენ!

იტყოდნენ ჩვენი ნაფიცი კრიტიკოსიბი და დაიწყებდნენ მღერას „ვაი ვუის“ ხმაზე.

მე ჩემებურის მჭერმეტყველობით განვაგრძობდი:

„ჩვენი ლიტერატურა, მოწყალენო ხელმწიფენო, ღარიბია. მე არ ვიცი ერთი ახალი ქართული ნაწარმოები, რომლის წაკითხვაზე ხუთ წუთზე მეტი მომენდომებინოს. ლექსის წაკითხვას ორ წუთს ვანდომებ, მხოლოდ უდიდეს ქართულ მოთხრობას—ხუთს. სხვა დანარჩენ დროს მე აღარ ვკითხულობ. და ასეა მთელ საქართველოში. გეკითხებით თქვენ, მოწყალენო ხელმწიფენო, თუ ქართველი კაცი თავის სამშობლო ლიტერატურის კითხვას დღეში მხოლოდ ხუთ წუთს ანდომებს და მერე აღარ კითხულობს, რადგანაც წასაკითხავი აღარაფერია—შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენ ლიტერატურა გვაქვს, მდიდარი ლიტერატურა, რომ ჩვენ მწერლები გვყავან, ნიჭიერი მწერლები!.. და რომ ჩვენი ხალხი კითხულობს!..

„მოწყალენო ხელმწიფენო, უკანასკნელი დიდი ქართული ნაწარმოები, რომელიც მე წავიკითხე და რომელიც ეკუთვნოდა ჩვენს ნიჭიერ მწერალს ამას და ამას—მოთხრობა იყო. შესდგებოდა ცამეტი სტრიქონიდან და მრავალ-წერტილებიდგან. ჯერ კიდევ დიდებულმა გიოტემ ამხილა მწერლები, რომლებიც „სიტყვას ხმარობენ ბუნდოვანს, სადაც რომ აზრი მოიკოჭლებსო“. ჩვენი მწერლები ბუნდოვან სიტყვებსაც აღარ ხმარობენ და ნაწარმოებს მრავალ წერტილებით ამოკლებენ. თქვენ მიპასუხებთ, რომ საქმე სიდიდეში არ არის, არ შეიძლება ნაწარმოების დაფასება მისი სიგრძე-სიგანით. ეს მართალია. პატარა ათენა-პალადას ძეგლი ხელოვნების მხრივ გაცილებით დიდია და მაღალი ვიდრე ხეოპსის პირამიდი და პატარა სურათი რაფაელისა—ვიდრე თეატრის ფარდა. ყველა ეს მართალია და ამხელს თქვენს არტისტულ გემოვნებას, კრიტიკულ უნარს. მაგრამ ეგვიპტის პირამიდები აუცილებლათ მაჩვენებელნი არიან მათ შემქმნელთა კოლოსალურ ენერგიისა და როცა ჩვენი ახალგაზდა მწერლობა ცამეტ სტრიქონიან ნაწარმოებს

# პასუხად ბ-ნ ლ. ბოცვაძეს.

გაზ. „სამშობლო“-ს № 79-ში მოკლეთ გავარჩიეთ ბ. ს. ოცხელის რუსული ენის სახელმძღვანელო „Новое слово“. განსაკუთრებით კი შევეხეთ მის ახალ მეთოდს და სისტემას, რომლებიც ძირითად განსხვავდებიან თარგმნითსა და ეგრეთწოდებულ ბუნებრივ მეთოდთაგან. სამართლიანათ აღვნიშნეთ ამ ახალი მეთოდის ორიგინალობა და დიდი ღირსება, რომელიც დამყარებულია ბავშის სულის ღრმა ცოდნაზე და შედეგია ხანგრძლივი დაკვირვებისა.

ამ ჩვენს სამართლიან მსჯელობას, როგორც სჩანს, მეტათ გაუცხარებია ბ-ნი ლ. ბოცვაძე. ამ პატივცემულ პედაგოგს დაუკარგავს დარბაისლური სიდინჯე და ამავე გაზ. „სამშობლო“-ს № 83 ში გვეკამათება შეუფერებელ და უკმეხი კილოთი. იგი ბრძამებს, თითქო ჩვენი წერილი „Новое слово“-ს შესახებ გარჩევა კი არაა, არამედ „უბრალო ლიპარაკი, ცალმხრივი გარჩევა, მარტო ხოტბა“ და სხვა ამისთანები. ბ. ბოცვაძე განსაკუთრებით გაუფიცხებია ჩვენს გაკვრით შენიშვნებს განსვენებულ ი. გოგებაშვილის „Русское слово“-ს შესახებ. იგი ეძახის ამას „უსამართლო შენიშვნებს“, „ყოველივე სიმართლეს მოკლებულად“, თითქო ჩვენ „ვერ შეგვიგნია გოგებაშვილის მეთოდის ღირსება“, „ყოველივე სიტყვას ვუღეჭავდით (?) ვუთარგმნიდით ბავშებს“ და სხვა ამისთანა მარგალიტები. ერთი სიტყვით, გამოვყავართ სრულს უვიცათ და უნიჭოთ. ყოველივე ამას ბ. ბოცვაძე ბძანებს მარტოოდენ ლიტონი სიტყვით, სრულიად დაუსაბუთებლათ, რაც არ შეეფერის სერიოზულ მოკამათეს.

ასეთ წერილზე ჩვენ არ გავცემდით არავითარ პასუხს ბ ნ ბოცვაძეს, რომ პატივს არ ვცემდეთ, როგორც პირადათ მას, ისე უმთავრესათ ბეჭდვითი სიტყვას.

თუ სხვას უწუნებ „ცალმხრივობას“, „ზერელობას“ და „უსამართლო შენიშვნებს“, ლოღიკა და გონივრება მოითხოვს თვით შენ არ ჩავარდე ასეთ ყოფაში.—ეს საანბანო ჭეშმარიტება დავიწყებია თავის „მცირე შენიშვნაში“ ბ. ბოცვაძეს.

ეს ცნობილი პედაგოგი დიდის რიხით იცავს ი. გოგებაშვილის „Русское слово“-ს და ხდის მას „ფართო თვალსაჩინოებაზე“ დამყარებულათ.

— „ამ სახით თვალსაჩინოება, დედაენის დახმარება, ცოცხალი საუბარი და სხვა საშუალება (ნეტა რა საშუალება?) იმდენათ შეზავებულია „Русское слово“-ში, რომ მისი ცალმხრივათ მონათვლა და მხოლოდ „თარგმნით“ მეთოდზე აგებულათ დასახვა ყოველ სიმართლეს მოკლებულია. წიგნში ერთი ჩახედვითაც კი ადვილათ მიხვდება ყველა, რომ თვითოეულს განყოფილებაში „Русское слово“ ში პირველ ადგილზე თვალსაჩინოება უზის, მაგ. ლექსიური განყოფილება,—„Наглядно-переводный способъ“, ე. ი. აქ ორივე დაცულია და არა მხოლოდ „თარგმნითი“. პირ-იქით თარგმანს თვით ამ განყოფილებაში მეტის მეტათ მცირე ადგილი აქვს დათმობილიო“, ბძანებს ბ. ბოცვაძე.

ეს სიტყვები განგებ ამოვწერეთ, რომ გავარკვიოთ თუ რამდენათ მართალია ეს დებულებანი.

ბ. ბოცვაძე ტყუილა გვაბრალებს „ცალმხრივობას“ და ი. გოგებაშვილის მეთოდის გაუგებრობას“. ნუ გეწყინებათ, ბ-ნო ლუარსაბ, და თქვენზე ნაკლებ პატივს არ ვცემდით განსვენებულ ი. გოგებაშვილს, როგორც ერთ საუკეთესო ქართველს და „დედა-ენის“ ავტორს, მაგრამ ლათინური ანდაზაა: amicus Plato sed magisque amica Veritas.

არ შევეხებით აქ „Русское слово“-ს ერთიანათ გარჩევას. საკმაოთ მიგვაჩნია მხოლოდ ოდნავ შევჩერდეთ მის ლექსიურ ნაწილზე, რომელიც უნდა ასწავლოს მასწავლებელმა „თვალსაჩინოება—თარგმნითი საშუალებით“, („Наглядно-переводнымъ способомъ“). პირველი გაკვეთილი იწყება რუსული სიტყვებით: Столъ, стулъ, мѣлъ, доска, книга, мячикъ, ножикъ, стоитъ, лежитъ.

ამ საგნებს აჩვენებს მასწავლებელი ბავშებს, ხან დგამს მათ, ხან აწვენს, რომ ასწავლოს ორი ზმნა: стоитъ, лежитъ.

მეორე გაკვეთილში ჩამოთვლილია რუსულათ: ქაღალდი, კალამი, ხეხი, რვეული, საწერელი, მელანი, სახაზავი. მესამე გაკვეთილში კი—სათამაშო ნივთები, მეოთხე გაკვეთილში—მე, შენ, მასწავლებელი, მოსწავლე და ზმნები: ასწავლის, სწავლება, ზის. მეხუთე გაკვეთილში—ზმნები: კითხავს, პასუხობს, უხსნის, ისმენს, კითხულობს, სწერს. ამ ხუთ გაკვეთილში არის მხოლოდ ორი სურათი: სუფრა და სკამი.

ამ ხუთ გაკვეთილში ბავშებმა თუთიყუშივით უნდა იზეპირონ რუსულათ ზემოთ ჩამოთვლილი ლიტონათ აღებული სიტყვები და მათგან უხეშათ შექმნილი მოქმედებანი. და ამას ეძახის ბ-ნი ბოცვაძე „თვალსაჩინოებითი მეთოდს“! ერთი მიბრძანეთ, ბ. ლუარსაბ, სად არის აქ თვალსაჩინოება და ჰედაგოგიურ მეცნიერებაში აქსიომათ აღსარებული ხალისი და ინტერესი, ურომლისოთ ბავშის ყოველივე სწავლება მხოლოდ ტანჯვაა და ძალდატანებაა?! ნეტა რა ინტერესს აღძრავს ბავშის სულში ცალკე აღებული სიტყვები: სკამი, სუფრა, ქაღალდი, კალამი, რვეული, სახაზავი და სხვა ამგვარები ან ამ საგნების დადგმა, წაქცევა, გადაბრუნება და გადმობრუნება?! ნეტა რა რიგათ აღძრავთ ბავშის ინტერესს და იწვევთ ხალისს, რომელიც მთავარი ღერძია ყოველივე სწავლისა და მის ადვილათ შეთვისებისა?! კიდეც რომ შეასწავლოთ ბავშს რუსულათ ეს სიტყვები, სად არის ის ფარული მექანიზმი, რომელიც ბეჭდავს მათ მძლავრათ და აჩერებს ბავშში მეხსიერებაში?! ეს მძლავრი მექანიზმია ხალისი, ინტერესი და ის ცხოველი იდეა, რომლის აზრები და ცნებანი, სიტყვებათ განსახებულნი, ღრმათ იხატებიან ბავშის ქორფა ინტელექტში. აი, სწორეთ ეს მექანიზმი არ მოიპოვება „Русское слово“-ში. ამ წიგნში არ არის სავსებით ის დიდი ჭეშმარიტება, რომელიც 300 წლის წინათ აღმოაჩინა დიდმა მოძღვარმა ამოს კომენსიმ და ურომლისოთ არც ერთი სახელმძღვანელო არვარგა. იქნებ ამ ხალისსა და ინტერესს აღძრავს „Русское слово“-ს ლექსიურ ნაწილებში მოთავსებული ეგრეთწოდებული პაწია მოთხრობანი (Маленькіе расказы)? ვნახოთ.

ავიღოთ პირველი მოთხრობა:

— „Нико сидитъ и пишетъ. Васо стоитъ и говоритъ: „Нико, не пиши, а читай“. Нико не слушаетъ и пишетъ.

სრულიად ამგვარივეა მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეათე, მეოცე ერთი სიტყვით ყველა მოთხრობები. თუ არ გჯერათ, აი, მათი ნიმუშები:

მესამე მოთხრობა: Мито лежитъ и читаетъ. Шакро говоритъ: Мито, не лежи и не читай, а вставай и пиши“. Мито не слушаетъ, лежитъ и читаетъ.

მეათე მოთხრობა: „Мать спрашиваетъ дочь: „гдѣ дядя?“ Дочь отвѣчаетъ: „Дядя сидитъ дома“.—„Что онъ дѣлаетъ“?—„онъ кушаетъ хлѣбъ и пьетъ воду“. და სხ.

ერთი მიბრძანეთ, ბ. ბოცვაძევ, ნეტა რა ინტერესი უნდა აღძრას ბავშვის სულში, ან რა ხალისი უნდა დაბადოს ასეთმა უსისტემო და უშინაარსო ფრაზეოლოგიამ?! ნეტა რაში ეპიტნავება ბავშს ნიკო სწერს თუ არა, ან მიტო კითხულობს თუ არა, ან ვილაც ბავშვის ბიძა შინ არის თუ არა, ან სჭამს თუ არა პურს? რა მოვლენაზე უნდა შეაჩეროს აქ ბავშმა თავისი გულისყური? რა უნდა დაანახვონ აქ ბავშებს? ან რა თვალსაჩინო მეთოდით ამცნევთ შკოლაში ბავშვებს შემდეგ განყენებულ ცნობებს: „Братъ хорошо учится Ученикъ худо слышитъ. Сестра тихо сидитъ. Мать не хорошо видитъ. Дядя хорошо работаетъ. Онъ хорошо думаетъ. Бабушка дѣлаетъ сыръ не худо. Учитель хорошо учитъ. Мать и видитъ и слышитъ хорошо. Бабушка мало спитъ. Мать мало ѣстъ. Курица тихо спитъ. Гусь летаетъ худо. Голубь хорошо видитъ. Сестра думаетъ скоро“ და სხვა ამისთანა მარგალიტები, რომლებიც უხვად გაბნეულია 10-დან 22 გვ. კიდეც რომ მოვიყვანოთ შკოლაში დედები, მამები, დები, ძმები, ბებიები, ბაბუები, მამლები, ქათმები, ძროხები, ღორები და სხვა ოთხფეხები ცხოველები—მაინც ვერ ვამცნევთ ბავშვებს იმას, რაც გვსურს. და აი ამას ეძახის ბ. ბოცვაძე „თვალსაჩინოებითი მეთოდს“!.

გთხოვთ აგვიხსნათ, ბ-ნო ლუარსაბ, თუ როგორ უნდა შევაგნებინოთ ბავშვებს ეს ზემოთაღნიშნული აზრები და ცნებანი თვალსაჩინოებითი მეთოდით?

შეგვეძლო კიდევ მრავალი მგზავსი მაგალითი ამოგვეკრიფა „Русское слово“-დან, მაგრამ რაც აღვნიშნეთ, ვგონებ, ისიც საკმაოა, რომ ღირსეულათ დავაფასოთ ეს წიგნი.

იძულებული ვარ მოგახსენოთ, რომ „Русское слово“-ს ლექსიურ ნაწილში, თუ გნებავთ, არავითარი მეთოდი არაა, არც თარგმნითი და არც თვალსაჩინოებითი, არც შეზავებული და არც შეუზავებელი, მასთან არც არავითარი სისტემაა დაცული. აქ რუსული სიტყვების შესასწავლად შეხინხლულია ერთმანეთზე უშინაარსო ფრაზები, რომლებიც ერთრიგათ აბეზრებს თავს, როგორც მოწაფეს, ისე მასწავლებელს. გავბედავ და ვიტყვი, რომ ამ წიგნს აზის ძველი სხოლასტიკის დაღი. ეს ჩვენი დებულება კიდევ უფრო მართლდება წიგნის 22 გვერდიდან, სადაც სწერია: „Упражненія въ главнѣйшихъ измѣненіяхъ глаголовъ и именъ“. აქ 8 წ. მოწაფეს ასწავლიან გრამატიკას, განყენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეღარ გასცილებია, ნუ თუ დრო არ არის ვიფიქროთ, რომ ჩვენ უნიათო ხალხი ყოფილვართ და ჩვენს ენერგიას წახალისება უნდა?

„ამიტომ მოგმართავთ თქვენ ქართველო მწერლებო, სწერეთ, რომ ქართველ ხალხს საკითხავი რამე ჰქონდეთ. ნუ მიჰბაძავთ იმ ქათამს, რომელიც ერთ კვერცხს დასდებს თუ არა, ქვეყანას აყრუებს კაკანით. ჩაიკეტეთ თქვენს ოთახებში თქვენს ბნელსა და უფერულ ოთახებში, აახალისეთ თქვენი ენერგია წერისა, თქვენი ნიჭი წერისა. თქვენ უნდა მოგვცეთ ნაწარმოებნი, რომლის წაკითხვასაც ჩვენ წუთებს კი არა დღეებს მოვანდომებთ, რადგანაც არ შეიძლება ერთ დღეში გადაკითხვა ისეთის ნაწარმოებისა, როგორიც არიან მაგალითად „ნაწარმოებნი გაბ. დ'ანუნციოსი, ოსკარ უაილდისა და ათასის კიდევ სხვათა, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, თქვენც წაგიკითხავთ“.

დიახ, აი, რას ვეტყოდი მე მათ, ნაფიცი კრიტიკოსი რომ ვყოფილიყავ.

**ფარსმან ფარუხი.**

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

გუშინ, დღის 12 საათზე, საკათედრო ტაძარში, ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლის თავად დ. ო. ნიჟარაძის მეთაურობით გადახდილ იქნა პანაშვიდი გერმანელებთან ბრძოლაში გმირულად მოკლულ ფლიგელ—ადიუტანტის, ლეიბ გვარდიის კავალერსგრადის პოლკის პორუჩიკის თავ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძის ბაგრატიონ-მუხრანსკის სულის მოსახსენებლათ.

✦ ქუთაისის არსებული დიდი მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის დროებითი კომიტეტი დღეს, 29 მაისს, ქუთაისში გამართავს ყულაბებით ფულის შეგროვებას. კომიტეტმა ამის შესახებ ქუჩებში მოწოდებაც გამოაკრა. დიდი მთავრინა ტატიანას განკარგულებით დღეს მთელი იმპერიის ქალაქებში სადაც კი არის მისი სახელობის კომიტეტები, ფულის შეკრებას გამართვენ. ეს ფული მოხმარდება ომში დაჭრილებს და გმირულად დაღუპულ ჯარის კაცების ოჯახებს.

✦ გუშინწინ, 27 მაისს, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, თ. მექი ფაღავას თავმჯდომარეობით, გაიმართა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის კრება. კრებას დაესწრო სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ა. ჩხენკელიც. ხანგრძლივ აწონ-დაწონის შემდეგ სადღეისო გაჭივრების შესახებ, კრებამ დაადგინა: დაუყონებლივ გაიგზავნოს დამშეულთათვის დასარიგებლათ სამი ვაგონი სიმინდი: ერთი ახალ სენაკისას, ერთი ზუგდიდისას და ერიც ოზურგეთის მაზრებს. სიმინდის სყიდვა უკვე დაევალა გამგეობისგან არჩეულ კაცებს.

ამავე საზოგადოების გამგეობამ აჭარლების დასახმარებლათ უკვე გაგზავნა 2 ვაგონი სიმინდი.

✦ **ქალაქის სანიტარ ექიმების საყურადღებოთ.** საჭიროა ქალაქის სანიტარექიმებმა დიდი ყურადღება მიაქციონ დასაკლავ საქონელს. კარგათ გაშინჯონ დაკლული პირუტყვის ხორცი, ვინაიდან ხშირია ისეთი მაგალითი, რომ დაკლული პირუტყვის ღვიძლში ხშირათ ბრტყელი მატლები და რგვალი ჭიები არიან ხოლმე. ყველამ კარგათ იცის, რომ ჭლექიანი საქონლის ხორცის ჭამა მაკნებელია ადამიანის ჯანმთელობისათვის. მაშ, მეტი ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

✦ 24 მაისს, ღამით ქარვასლის ქუჩაზე პარმენ ელიზბარის ძის ამაღლობელის ფეხსაცმელების სამკერვალო გატეხა ამავე ამაღლობელის შეკირდმა სოფ. ქვიტირის მცხოვრებმა რაჟდენ გერასიმეს ძე ჩოგოვაძემ. ჩოგოვაძემ სამკერვალოდან მოიპარა 30 რწყვილი ფეხსაცმელი 80 მანეთად ღირებული, რომელიც გაუყიდია დ. ხონში. პოლიციამ ჩოგოვაძე დააპატიმრა და მყიდველს ფეხსაცმელები ჩამოართვეს..

✦ ამ დღეებში ბ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა ჯარში გაწვეულთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტის წევრთა კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, განხილული იქნება ჯარის კაცთა ბავშვებისათვის უფასოთ პურის მიწოდების საკითხი

✦ მოლოროსიელ მსახიობთა ამხანაგობამ, 20 მაისიდან დღემდის 8 წარმოდგენა გამართა. წარმოდგენებს ხალხი ყოველთვის ბევრი ესწრება.

✦ კვირას, 31 მაისს, მალოროსიელთა მსახიობები ქალაქის თეატრში წარმოადგენენ „ტარას ბულბა“ „Тарасъ Бульба“ პიესა 4 მოქმედებათ. პიესა გადმოკეთებულია გოგოლის მოთხრობიდან.

✦ დღეს 29 მაისს, ოლქის სასამართლო გაარჩევს ივანე ბერძენიშვილის, ანდრია ლოლუას, რაფიელ ჩიკვაშვილის და ისრაილ შალომაშვილის საქმეს.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს უფროსი თავმჯდომარე ბ-ნი ფედოროვი ამ ყამათ დ. გაგრაში იმყოფება.

✦ ქალაქის გამგეობის წევრმა სიმონ ალ. ქვარიანმა ამ კვირაში ჯარში გაწვეულთა ოჯახებს, ხაზინიდან მიღებული 8382 მან. 36 კაპიკიდან, დაურიგა 7,000 მანეთი. ჯერ ფული დაურიგდა 450 ოჯახს. ბ. ქვარიანი ფულს კიდევ არიგებს.

✦ მდგომარე წლის ქალაქის გასავალ-შემოსავალის ხარჯთაღრიცხვა 521,451 მან. და 8 კაპ. განისაზღვრება. ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა ამ დღეებში დასამტკიცებლათ ბ. გუბერნატორს წარედგინება.

✦ დ. სამტრედიის რაიონის ახალგაზდების გაწვევა სამხედრო ბეგრის მოსახდელათ გუშინ, 28 მაისს, დასრულდა. დ. ხონის რაიონის ახალგაზდათა გაწვევა დღეს 29 მაისიდან დაიწყება და 4 ივნისამდი გასტანს.

✦ **სანოვაგე.** ამ კვირაში ქუთაისში რუსეთის ქალაქებიდან შემოიტანეს 16 ვაგონი პურის ფქვილი, 5 ვაგონი სიმინდი, 3 ვაგ. შაქარი, 1 ვაგ. თევზი, 2 ვაგ. ქატო, 2 ვაგ. თივა, 3 ვაგ. ნავთი და სხვ.

✦ ბაზრის ზედამხედველის თანაშემწემ პ. კორძაიამ ოქმი შეუდგინა მოვაჭრე სამსონ წკეპელაშვილს დილით ადრე ბაზარში 35 ფუთი სიმინდის ფქვილის ყიდვისათვის.

ამავე ბაზრის ზედამხედველის თანაშემწემ პურის ნიხრის დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა მეპურე არჩილ სპირდონის ძე სპირანდის.

# შიმშილობის ნაყოფი.

შიმშილობა, შიმშილობა და შიმშილობა, აი ის ამაზრზენი და ყოველი პიროვნების შემაძრწუნებელი სიტყვა, რომელიც გაისმის დღეს ყოველი მხრიდან, კუთხიდან, სოფლიდან... გაზეთების ფურცლები სავსეა მეტად შემაღონებელი წერილებით და სურათებით სოფლის დამშეული ხალხის ცხოვრებიდან.. შიმშილი!.. ოჰ, რა მწარე და სასტიკია ეს სიტყვა; ...მეტად გულ-ქვა, ცივი, უგრძნობელი უნდა იყოს ის ადამიანი, რომელსაც მხოლოდ წუთით მაინც არ დააფიქრებს ის საშინელი პირობები და მძიმე, აუტანელი მდგომარეობა, რომლის ალმურშიც იწვის დღეს სოფლელი ხალხი, ჩვენი მასაზრდოებელი მოძმე-გლეხკაცობა...

დიახ! მეტად უგრძნობელი უნდა იყოს პიროვნება, რომელიც ოცნებაში მაინც არ წარმოიდგენს მდგომარეობას, გაჭივრებას და ტანჯვას სოფლელებისას...

მოიგონე, მკითხველო, შიმშილობით გამოწვეული სცენა, სცენა საზარი, არაჩვეულებრივი, რომელიც დ. აბაშაში დატრიალდა, და რომლის შესახებაც გაზ. „სამშობლო“-ში რამოდენიმე წერილები დაისტამბა, წარმოიდგინე ის სურათი ნათლად, შემდეგ დაფიქრდი, ჩაიხედე შენი გულის სიღრმეში და ნახავ, იგრძნობ, თუ რა საშინელი სევდა-ნაღველის ცეცხლი აღკაგზნოს გულში და რა რიგ დაუწყოს ქენჯნა შენს სულს, გრძნობას, გონებას, მთელს არსებას...

მსგავს სცენას ჰქონდა ადგილი დ. ახალსენაკში, კვირას, 24 მაისს. თერთმეტ საათზე, შუა დაბაში ზღვა ხალხმა მოიყარა თავი. მათში ბევრი იყო მოხუცი და ახალგაზდა ქალები, ბავშვები, ყმაწვილკაცებიც და მოხუცებილებიც. ყველას ხელში ცარიელი ტომარა ეჭირა. შიმშილობის მწვავე ცეცხლის ალით განამწარებ დამშეულ კაცთა გროვა ზღვასავით ღელავდა, . . . .

. . . . . . . . .

. . . .აჩქარებულად მიმოდიოდენ. ხან ერთს დუქანს მიადგებოდენ, ხან მეორეს. ყველგან ათვალიერებდენ, სადაც კი სიმინდი ეგულებოდათ. ვაჭრებმა, ვისაც კი სიმინდი და პურის ფქვილი მოეპოვებოდათ, მაშინვე დუქნები დაკეტეს, სამსამი ბოქლომები დაადეს და წამს მიიმალენ, გაჰქრენ... ხალხი ხედავდა ვაჭრების ასეთ შეუფერებელ არა ადამიანურ, უპატიოსნო საქციელს და მათი მოქმედება უფრო სასტიკ ხასიათს ღებულობდა... დიდ ხანს იყო ხალხი უპატრონოდ. არსად სჩანდენ ქალაქის „მამები“, და არც პოლიციელები... გულშემატკივარი არავინ იყო. ხალხი ხედავდა, რომ არავის ესმოდა მათი თხოვნა, ვედრება, მუდარა, ხვეწნა, არავინ აქცევდა ყურადღებას . . . . .

. . . . . . . . .

. . . . ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდენ მაზრის უფროსის თანაშემწე და ბაზრის ზედამხედველი რამოდენიმე სტრაჟნიკებით. ხალხი მივარდა მათ. ყველანი: დიდი, პატარა, კაცი, თუ ქალი, მოხუცი, ახალგაზდა თვალცრემლიანი მუხლ-მოდრეკით ევედრებოდენ: „გვიშველეთ, ბატონო, შიმშილით ვიხოცებით, ვიღუპებით, შეგვიბრალეთ!“ ეს ნაღვლის აღმძვრელი სურათი ყოველ გულ-ქვა ადამიანსაც ერთ ცრემლის ცვარს მაინც მოჰგვრიდა, მაგრამ, საუბედუროდ აზრის უფროსის თანაშემწე მეტად გულ-ცივად გაუმასპინძლდა აღელვებულ ხალხს მაშინვე სიმინდის უქონლობა გამოაცხადა, ხალხმა ერთს ვაჭარზე მიუთითა, რომელსაც ერთი ვაგონი სიმინდი ჰქონია შენახული. მართლაც, გააღეს დუქანი თუ არა შიგ, სიმინდი ბლომათ იპოვეს. მოზღვავებული ხალხის ნახევარს დაურიგა აღმოჩენილი სიმინდი, დანარჩენი კი ისევ ხელცარიელი დარჩა და დაკმაყოფილებას უცდიდა.. მაგრამ ამაოდ! იმედები თან და თან უიმედობის შავს ბურუსში ჰქრებოდენ...

„ქმარ-შვილი ბრძოლის ველზე მყავს, არვიცი, მკვდრები არიან თუ ცოცხლობენ, ოჯახი მეღუპება, შიმშილობა მტანჯავს, მკლავს, ქრისტიანებო, მიშველეთ, შემიცოდეთ დედაკაცი. თქვენ ვაჟკაცები ხართ, კიდევ გააჰერხებთ რამეს, მე კიდავრდომილმა, რავქნა, რა გავახერხო?!“ მოსთქვამდა ერთი მოხუცებული ქალი და თანაც თვალებიდან მდუღარებას აფრქვევდა, ხელებს თავში იცემდა.

„ქმარი ბრძოლაში მყავს, პატარა ბავშვები შიმშილისგან მეხოცებიან, თუ სიმინდი არ მომეცით, ღმერთმანი, „პოეზდს“ ბორბლებში ჩავუვარდები, რომ უცბად მოვკვდე, თორემ ვერ გავუძელ ბავშვების ტირილს, ცრემლებს“,-ჰგოდებდა ახალგაზდა ქალი...

ყველანი სტიროდენ, ოხრავდენ, მაგრამ თანამგრძნობელი არსად სჩანდა თუმცა ბევრი კუჭ-მაძღარი ვაჭარი და შეძლებული პირი იყვნენ მხილველნი ამ საზარელი სურათისა. იმ ხალხში, მხოლოდ ერთი პირი გამოჩნდა-ვაჭარი, რომელმაც თავისი ხარჯით უყიდა ერთი ფუთი სიმინდი ერთს ქალს, ფულიც მისცა და შინისკენ გაისტუმრა. ასეთმა მაგალითმაც არავითარი გავლენა არ იქონია სხვა ვაჭრებზე, რომლებშიაც საზიზღარ სიცილხარხარსა და დაცინვას იწვევდა ხალხის ასეთი მოქმედება.

შემდეგ ხალხმა მაზრის უფროსის თანაშემწეს ერთს ვაჭარზე მიუთითა, რომლის დუქანშიც სიმინდი ეგულებოდათ. თანაშემწემ სტრაჟნიკებით იქითკენ გასწია. ხალხიც მას გაჰყვა.

არ ვიცი, რად დასჭირდა ბ. თანაშემწეს თოფებით და სტრაჟნიკების ძალით ხალხის მიმოფანტვა?!.

ნუ თუ იმათ რამე დანაშაული მიუძღოდათ? .

განვლო ხანმა. ისინი მალე დაბრუნდენ და ხალხს გამოუცხადეს, რომ სიმინდი მეტი არ გვაქვს, დაიშალენითო. ხალხში მღელვარება და მძლავრი ხმაურობა გაეფდა... თანაშემწემ შინისკენ გასწია... კვლავ დარჩა ხალხი მარტო, ღვთის ანაბარად, იმედ დაკარგული...

. . . . . . . . .

ბევრი მწარე სიტყვა ითქვა იქ, მაგრამ ყველა იმას ვინ ჩამოსთვლის... საღამოს ჟამს იმედგაცრუებული ხალხი დაიშალა...

ამასთანავე არ შემიძლია არ მივმართო ადგილობრივ ვაჭრებს: დროა, ბატონებო, გაითვალისწინოთ, შეიგნოთ, თუ რა პირობებში ტრიალებს დღეს სოფლელი გლეხკაცობა, დროა მოუღოთ ბოლო თქვენს დაუდევრობას, დროა შეიგნოთ, რომ თქვენს სიცილ-ხარხარსა და მწარე დაცინვას გაჭირვებულ ხალხის ბედ-იღბალზე, შესაძლებელია, მერწმუნეთ ცუდი შედეგი მოჰყვეს... დაუფიქრდით სერიოზულათ თქვენს საქციელს, თორემ ბოლოს სინანული გვიან იქნება!..

**მ. ანაშვილი.**

# წერილი ს. კორბოულიდან.

(ზემო იმერეთი)

(ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების დაარსების გამო).

ამ დროის ქართულ [illegible] გამოცემათა, თუ სხვა და სხვა ქართულ-ჟურნალ-გაზეთების რიცხვს რომ აკვირდები კაცი, რაღაც სიამით გული გევსება, ფიქრობ, რომ ეს კაი მომავლის მომასწავებელია, მაგრამ ამავე დროს ქართველთა ხალხის თანამედროვე მდგომარეობასაც რომ კარგათ ჩააკვირდეთ, სიამე ნაღვლათ იქცევა და უნუგეშო სურათი გეშლება თვალწინ... ეკონომიურათ დაქვეითება, რის გამოც სიღარიბე და მეტის მეტი ნივთიერი ნაკლულოვანება გამეფებულია ჩვენს დაბა-სოფლებს, თუ ქალაქებში. ამის გამო სწავლა განათლება, თუ სხვა კულტურულ-განმანათლებელი ხალხის სასარგებლო დაწესებულება კუს ნაბიჯით მიდის წინ და ისიც, ცოტა ხნის შემდეგ, თუ სულარ ისპობა, ძლივს ითქვამს სულს. ვაჭრობა-მრეწველობა ჩვენში, ეს ერთად ერთი წყარო ხალხის მასაზრდოებელი დედა ძარღვისა, იმ თავითვე გადამთიდგან მოსულებს ჩაუგდიათ ხელში და ჩვენი ქონით ჩვენვე გვწვავენ თვალებს. ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი მამა-პაპათა წმინდა ძვლებით გაპოხიერებული, ნებსით, თუ უნებლიეთ, ათასნაირ ვიგინდარაების ხელში გადადის და მათ საძიძგნათ შეიქმნა, მაშინ, როდესაც ჩვენსავე ხალხს უმიწაწყლობით სული სძვრება და ნახევრათ სიმშილს განიცდის. აი სწორედ, ეს ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებია, რომლებიც ქართველს გულს უკლავს და აფიქრებს.

და სწორედ სულზედ მისწრებათ უნდა ჩაითვალოს იმისთანა დაწესებულების დაარსება, რომელიც ჩვენს ხალხს გამოიყვანს ამ გაჭირვებიდგან და ფეხზედ დააყენებს, ამ სიტყვების ფართე მნიშვნელობით. ამიტომაც გამოუთქმელი სიხარულით ვეგებები „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების“-ს დაარსებას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქართველი ხალხის ნივთიერ მოგომარეობის გაუმჯობესობას: 1) მიწის მოქმედებისა, ვაჭრობა-მრეწველობისა და საამშენებლო საჭირო და სასარგებლო ცოდნის გავრცელებით, 2) ღარიბ მცხოვრებთათვის ხელმისაწდომ კრედიტის მიწოდებით; 3) უმუშევართ-სამუშაოს მოპოვებით. 4) მოულოდნელ უბედურობის დროს, მაგ. შიმშილობისა, ეპიდიმიური ავადმყოფობისა, სეტყვისა და წყალდიდობის დროს მიშველებით და სხვათა და სხვათა.

ამ 35—40 წლის წინათ ჩვენი ერის დიდმა მოამაგეებმა საძირკველი ჩაუყარეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას; დროა, რომ, მათ მსგავსათ, თანამედროვე მოწინავე ქართველთა პირება „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოება“ მტკიცე ნიადაგზედ დააყენონ და ქართველთა მრავალმხრივ მოთხოვნილებას ანგარიში გაუწიონ. აი ეს საზოგადოება უნდა ვიცნოთ დიდმნიშვნელოვან დედაბოძათ, რომლის გარშემო უნდა შემოკრბეს ქართველი ხალხი, განურჩევლად წოდებისა და მიმართულებისა. დაე, ეს საზოგადოება გახდეს მიზეზი ჩვენი ერის მოწინავე პირების პარტიული კინკლაობის მოსპობისა, ვინაიდგან ამას მოითხოვს სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობა და მისი მშრომელთა კლასის უკიდურესი გაჭირვება. დაე, ჩვენმა ხალხმა ამ დიდმნიშვნელოვანი საზოგადოების ხელის შემწყობლებისაგან ნათლად გაიგოს: თუ ვინაა მისი მტერი და მოკეთე?...

როგორ უნდა მოეწყოს ამ საზოგადოების განყოფილებები ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში?... საქართველოს სოფლების თუ ქალაქების სამღვდელოება და მასწავლებლობა ახლავე უნდა ჩაეწერონ ამ საზოგადოების წევრებათ; უნდა აუხსნან ხალხს მისი მნიშვნელობა და მიზანი. ყოველი ღონის ძიება უნდა იხმარონ, რომ სიტყვერი რჩევითა და დარიგებით ხალხს მოაშლევინონ საზარალო სოფლის ჩვეულებები ქირსა და ლხინის დროს, ეგრეთ წოდებული „კაი დღე“-ები და მათგან გადარჩენილი ხარჯების ამ საზოგადოების სასარგებლოთ შეწირვით, თანდათან გააძლიერონ იგი, ჩვენი ერის სასიკეთოთ.

„რომელმან არა აღიღონ ჯვარი და არ შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“-ო, ბრძანებს იესო მაცხოვარი. მსგავსათ ამ დიადი მცნებისა, ის, რომელიც საქმით არ შეეწევა ამ სამამულიშვილო დიად დაწესებულებას, არ იქნება ღირსი მამულიშვილობის წოდებისა, დავსძენთ ჩვენც ჩვენის მხრით.

**მღვ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.**

# დაბა-სოფლები.

**სოფ. რცხილათი.** (ჩხარის რაიონი).

თუ სადმე სოფელი მივიწყებული და ღვთის ანაბარათ მიტოვებული—პირველად ეს სოფელი უნდა ჩაითვალოს. არავითარი კულტურული დაწესებულება აქ

ბულ ფორმებს, ზმნებს, ბრუნვას, ზმნების მიმოხვრას და სხვა ამგვარ სიბრძნეს, ამ მშრალი და ბავშვის სულისათვის სრულიად გაუგებარი მასალით მთელი თვეობით კვებავენ მოწაფეებს, სტანჯავენ და ულაყებენ ტვინს საბრალო ბავშვებს. ასეთ ანაქრონიზმს, ასეთ დახავსებული სქოლასტიკის ნაშთს შეტრფის და შეღაღადებს ბ. ბოცვაძე!

მეტად დაგვავალებთ, ბ. ლუარსაბ, თუ „Рус. слово“ ს ლექსიურ ნაწილში გვიპოვით რომელიმე ადგილს, ან ერთ რაიმე მოთხრობას, რომელსაც კი შეეძლოს აღძრას ბავშვის სულში რაიმე ხალისი და ინტერესი. ასეთი მოთხრობები კი ბ. ს. ოცხელის „Новое слово“-ში თითქმის სუყველაა. მასთან ბ. ოცხელის წიგნის მარტო ლექსიურ ნაწილში 9 დიდი და ასამდი პატარა სურათია თვალსაჩინოებისათვის მოთავსებული. „Русское слово“-ს ლექსიურ ნაწილში არის მხოლოდ 28 ცალკე საგნების პატარა სურათები.

— „თვით მასწავლებელის უნარზეა დამოკიდებული უსულოს სული ჩაუდგას, გამოაცოცხლოს და ბავშვების სახალისოთ გახადოსო“, რიხიანათ ბრძანებს ბ-ნი ბოცვაძე.

არა, პატივცემულო კოლეგავ, არ გეთანხმებით! მართალია მასწავლებლის ნიჭსა და უნარზე ბევრი რამაა დამოკიდებული, მაგრამ რაგინდ გენიოსი იყოს მასწავლებელი, ასეთ უსულო და უაზრო რამეებს, რომლებიც ისე ბლომათაა გაბნეული „Русское слово“-ში, ვერ გააცოცხლებს იგი, ვერ ჩაუდგამს ვერავითარ სულს და ვერ გახდის ბავშვებისთვის სახალისოთ. თვით დიდებული პესტალოციც კი ვერ აღძრავდა ინტერესს ბავშში ამგვარი ფრაზებით: Курица тихо спитъ. Ученикъ медленно надѣваетъ сапоги. Читаетъ причетникъ намъ. Бабушка дѣлаетъ сыръ не худо. Они стоятъ, говорятъ, сидятъ, приходятъ, уходятъ, стоятъ, читаютъ, играютъ, плаваютъ და სხვა ამგვარები. არა, ბ. ლუარსაბ, უსულო რამის სულის ჩადგმა და მკვდრის გაცოცხლება შეუძლია მხოლოდ ღმერთს და არა ხორციელ არსებას, რაგინდ დიადი გენიოსი იყოს იგი.

ამიტომ ათასჯერ მართალი ვართ, როცა ვამბობთ: „არას დროს არ მიგრძვნია ისეთი სიძნელე და შეწუხება, როგორც ვიგრძენი „Русское слово“-თი ბავშვების მომზადებაში. ბავშვებს საშინლად ბეზრდებოდათ ასეთი სისტემით სწავლება, პირდაპირ სძულდათ საგანი“ მეთქი. გარწმუნებთ, ბ. ლუარსაბ, ასეთი აზრი მარტო ჩვენ არ გვეკუთვნის. ასეთი აზრი ტრიალებს მრავალ მასწავლებელთა შორის, რომელნიც კი ასწავლიდენ „Рус. слово“-თი. ამიტომ არის, რომ ჩვენ და ბევრი სხვაც აღტაცებით მივეგებეთ ბ. ს. ოცხელის „Новое слово“-ს, რომელიც დამყარებულია საღ პედაგოგიურ საფუძველზე და თავის მეთოდით წარმოადგენს ფრიად ორიგინალურ ნაშრომს, რომელსაც შეუძლია დააინტერესოს ჩვენი და რუსეთის პედაგოგები და შეიტანოს ახალი სხივი ჩვენს შკოლებში. ვიმეორებთ: ეს „Новое слово“ ნაყოფია სერიოზულ პედაგოგიური ცოდნის, ბავშის სულის ღრმად შესწავლის, ხანგრძლივი დაკვირვების და გამოცდილების, აგებულია სიტყვის და აზრის ერთ არსებაზე, მათ განუყრელობაზე, აზრის ანალიზსა და სინტეზზე. აქ ბავში ქართული მოთხრობის დედა-აზრის საშუალებით ადვილათ სწავლობს რუსულათ მოთხრობის მარტივ პერსონაჟების სახელს და მათ მოქმედებას, ითვისებს რუსულათ ცალკე აზრებს, ცნებებს და ამათ გამოხატულებას, ე. ი. სიტყვებს. ამ გონივრული საშუალებით მასწავლებელი ავარჯიშებს რუსულ ენაში თავიდანვე დაინტერესებულ ბავშებს. ამგვარადვე ვარჯიშობის დროს ბავშები შეუმჩნევლათ და თავისუფლათ სწავლობენ გრამატიკულ ფორმებს. ასეთია ახალი მეთოდი ბ. ს. ოცხელისა. აქ არ არის რუსული სიტყვების უაზრო გაზეპირება და გაუგებარი გრამატიკით ბავშების დატანჯვა.

ამის შემდეგ არ გვესმის, თუ რათ წყინს ბ. ბოცვაძეს, რომ სიმართლე ვთქვით, ცუდს ცუდი ვუწოდეთ და კარგს კარგი!

— „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლათ“-ო, ბრძანებს სულმნათი შოთა. და, ნუ გვაშინებს ეს სიმართლე მე და თქვენ, ბ. ლუარსაბ!— „ისა სჯობს მამულისათვის, შვილი რომ სჯობდეს მამასა“ —ამბობს ქართველი ერის ძველი სიბრძნე. თუ ეს ასეა, მაშ ჩვენ უნდა გვახარებდეს უკეთესი წიგნების და უკეთესი სახელმძღვანელოების წარმოშობა. ამით ძველებს პატივი და მათი დიადი ღვაწლის დაფასება სრულიადაც არ აკლდებათ. ასე იყო და არის ყველა განათლებულ ერებში და ასე უნდა იყოს ჩვენშიაც, თუ კი გულწრფელათ გვსურს ქართველი ერის წინსვლა.

ამ რიგათ, ბ. ლუარსაბ, ქედი მოვიდრიკოთ ჭეშმარიტების და ისტორიის იმპერატივის წინაშე, ყოველივე ახალს, საღს, სასარგებლოს მივცეთ გზა ფართო, ყოველივეს მეტათ დაძველებულს და უვარგისს კი ვუკალობოთ „სულთათანა“. ასეთია ბუნების სასტიკი კანონი!

**ძველი პედაგოგი.**

P. S. ვსარგებლობთ შემთხვევით და ვაცხადებთ, რომ „ძველი პედაგოგი“ არ არის ფსევდონიმი დამსახურებულის პედაგოგის **სამსონ** გიორგის ძის **ყიფიანისა.** ეს წერილები ეკუთვნის სულ სხვა „ძველ პედაგოგს“.

**რედ.**

არ არის. ვერც ერთ სოფელს ვერ უდგება, რომ სკოლით ისარგებლოს; საკუთრათ კი ვერ დაუარსებია სკოლა.

საჩივარი და სხვა და სხვა გვარი ტყუილი ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგ. ამას წინათ მეზობელს მეზობლის მტრობა სჭირდა, დაწერა სამგლოვიარო წერილი და გაუგზავნა მეზობელს, ვითომ მას მოყვარე მოკვდომოდეს და სატირალში იწვევდენ; მეზობელს მართალი ეგონა, მოემზადა ჩვეულებისამებრ (მოგეხსენებათ იმერული ასამბიით წასვლა) და წავიდა, მაგრამ ტყუილი გამოდგა. ამ გვარ ტყუილებს ხშირად შეხვდებით აქ.

ნიადაგი ძლიერ მწირეა, ტყეები სახელმწიფოა. აქაურების ცხოვრების სახსარს ჭიათურა შეადგენდა, მაგრამ ომიანობის ქარცეცხლმა ყოველ ალაგას შეაჩერა მუშაობა და მრეწველობა. ხალხი ძლიერ შევიწროვდა, მაგრამ ნათქვამი რომ არის, ღმერთი საწყალ ხალხს ეწევაო, სწორეთ ასე მოუვიდათ: მოცვის ჩაის ფასი დაედვა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყველა ტყეს მოედვა და დაუწყეს მოცვის ფოთოლს მოგროვება, მაგრამ საწყლებს აქაც გაუჩნდათ დაბრკოლება, ტყის დარაჯებმა უთხრეს, ამაზე პროტოკოლი უნდა შევადგინოთო, ანდა თითო სულმა ათ-ათი შაური შემოიტანეთო, რა უნდა ექნათ საწყლებს, ყველამ მისცა ათ-ათი შაური, სად მიდის ეს ფული, ალაჰმა უწყის, ვიცით კი ხაზინაში არ შეტანილა, ალბათ, დარაჯების ჯიბეში ჩადის, თორემ ხაზინა საწყალ ხალხს არ დაუშლის მისთვის გამოუსადეგარ მოცვის ბუჩქს. ტყის დარაჯების თავგასულობას საზღვარი არა აქვს, უბრალო ფიჩხს, რომელიც ტყუილათ ლპება, ტყიდან არ გაატანებენ. ერთი ადგილობრივი ტყის მცველია, მეორეს უფროს „ობიესდჩიკ“-სა და მესამეს „ЛѢСНОЙ КОНДУКТОРЪ“-ს ეძახიან. ეს სამი კაცი რომ გაჩნდება სოფელში, მაშინ უნდა ნახოთ, როგორ შეშფოთდებიან, ვის რა არ მოაქვს, ქათამი, კვერცხი, ყველი, ხაჭაპურები, კარგი ღვინო, ერთი სიტყვით, რასაც უბრძანებენ, აქ ხომ დანაყრდებიან და რაც მორჩებათ ჩაალაგებენ ხურჯინში და მიაქვთ, რა ენაღვლებათ ბაზარში ყველაფერი სანოვაგე გაძვირებულია და აქ მუქთად შოულობენ.

არ ვფიქრობთ, რომ გლეხები ვალდებული იყვნენ იმათი შენახვისა. კარგი იქნება ამ გვარ მათ საქციელს ჯეროვანი ყურადღება მიექცეოდეს, ვისგანაც ჯერ არს და მათი თავგასულობა აილაგმებოდეს.

მამასახლისისა და მწერლის თავგასულობას საზღვარი არ აქვს, ყველა მათ რაინდულ საქმეს არ ვიტყვი, ვიტყვი მხოლოდ ერთს: სათანადო ჯარისკაცების ოჯახებს ფული დაურიგეს, ყოველ ამ გვარ ოჯახს პატარა წიგნაკები (КНИЖКА) აქვთ მიცემული, რომელშიც უწერენ მიცემულ ფულს და ხელს აწერიებენ; კნიჟკებში მთელ ფულს უწერენ, ხელს აწერიებენ და მერე კი აკლებენ. ამაზე მეტი სიგლახე კიდევ შეიძლება დღევანდელ მომენტში, როცა ჩვენი ძმები სამშობლოსთვის ბრძოლის ველზე სისხლს ღვრიან და მათ ოჯახებს აქ ცარცვავენ?! ამისთანა არა ნორმალური მოქმედება ხშირია დაბალი მოსამსახურეებისგან. საწყალი მდაბიო ხალხი საწველ ფურათ არის გიმხდარი ყოველი უპატიოსნო მოსამსახურისაგან. როდის მოეღება ბოლო მათ მოქმედებას? ვინ იხსნის მათ ამ მდგომარეობისგან, თუ არა ინტელიგენცია, მაგრამ ჩვენთვის არავინ არ არის. არიან ჩვენშიაც ინტელიგენტები, მაგრამ სხვაგან მსახურებენ, თავის სოფლის საქმეს არას დაგიდევენ, თუმცა მოწაფეობის დროს ყველაზე მეტს ლაპარაკობდენ ხალხის ჭირ-ვარამზედ. დღეს კი საკუთარმა ცხოვრებამ ისინი გაიტაცა და საზოგადო—აინუნშიაც აღარ მოსდით.

წელს ადგილობრივი მღვდლის ინიციატორობით კაი დღეს თავი გაანებეს; ძლიერ ცოტა სტუმარი იყო გიორგობას; იმედია მომავალში სულ არავინ გადიხდის.

**ბულ-შემტკივარი.**

---

**სოფ. პერევისა.** (ზემო იმერეთი). აქ ამ უკანასკნელ ხანებში შეუწყვეტელი წვიმა მოდიოდა. დათესილი ყანების მიდამოები წყლის ღვარებით იყო აღვსილი რამაც დათესილი სიმინდის თესლი სულ გაანადგურა. ასე რომ გლეხებს ხელმეორეთ სჭირდებათ ყანების დათესვა. ამიტომ გლეხების მწუხარებას საზღვარი აღარ აქვს.

შიმშილობა უკვე მოედვა ჩვენს დაბა-სოფლებს, რაც თითქმის ყოველ დღე აღნიშნული ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში და და განა კიდევ ნაყოფის გაფუჭება გვესაჭიროება? მაგრამ როგორც სჩანს ბუნებაც კი მოაქვს ბეჩავ ხალხზე იერიში, რომ საერთო ხალხის ტკივილები უფრო გააორკეცოს.

აქ კიდევ არის ზოგიერთი ისეთი ბნელი პირი, რომლის ბოროტ-განძრახვებსაც საზღვარი არ უჩანს. ამას წინათ, გზაზე მიმავალი ორი ვაჭარი მოჰკლეს ამ ვაჟბატონებმა. ბოროტ - განზრახველები მიიმალენ, ასე რომ მათ კვალს ჯერჯერობით ვერ მიაგნეს, ხოლო სოფლის გლეხობა ჩავარდა გასაჭირში, რადგანაც მათ სთხოვენ ავაზაკების აღმოჩენას.

22 მაისს, აქ მოხდა შავი-ქვის მემამულეთა კრება სტ. თ. ქავთარაძის მეთაურობით. კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა ჩაეწეროს „აქციონურ“ საზოგადოებაში, რომელიც ჭიათურაში დაარსდა, დიდ სასარგებლოთ იცნეს ეს დაწესებულება და თითქმის ყველამ სურვილი განაცხადა, დახმარებით და ხელის შეწყობით, ამ საქმის სისრულეში მოყვანა. მომავალი რას გვიჩვენებს, არ ვიცით. არ შემიძლია არ უსაყვედურო აქაურ ინტელიგენციას, რომელსაც არავითარი სურვილი არა აქვს, რომ რაიმე კულტურული ღვაწლი დასდოს საზოგადოებას.

ხალხი სულს ღაფავს, როგორც გონებრივათ, ისე ქონებრივათ და განა არ შეუძლიათ ხელი გაუწოდონ ბეჩავ ხალხს, მაგრამ მუშაობა საზოგადოებაში მათ მეტ ბარგათ მიაჩნიათ. აბა გადახედონ ამ ვაჟბატონებმა სხვა სოფლებს, სადაც ორი-სამი მოინტელიგენტო კაცი აკეთებს იმდენს, რამდენიც აქ ხუთჯერ მეტს ვერ გაუკეთებია. რომ კითხოთ მიზეზი მათი ასეთი დადუმებისა, მოგიგებენ: „ხალხი ბრმაა ჯერ და არ შესწევთ მათ ძალა რაიმე კულტურული დაწესებულება შეინარჩუნონო“. განა ეს პასუხია? განა დღეს ჩვენი სოფელი მომზადებული არ არის იქონიოს: სამკითხველო, საკრედიტო ბანკი, კოოპერატიული დუქანი და სხვა... და რას უნდა მიეწეროს ასეთი პასუხი თუ არა იმას, რომ აქაური ინტელიგენცია თავის ხალხს კარგათ ვერ იცნობს. საჭიროა უფრო დაახლოვება ხალხთან და მხოლოდ მაშინ გაეცნობით მათ გულის პასუხებს და მაშინ იგრძნობთ იმ ტკივილებს, რასაც დღეს სოფლის გლეხობა განიცდის.

**ინ—ჯანი.**

---

## ბიბლიოგრაფია*).

ჩვენ არ გვსურს დაწვრილებით შევეხოთ მამა პლატონის მიერ გადმოცემულს ლოცვების შინაარსს წიგნის ამ ნაწილში ისეთი უმნიშვნელო ნაკლულევანებანია, რომ მათ შესახებ ლაპარაკი არც კი ღირს...

კარგია, რასაკვირველია, ლოცვის შინაარსის გადაცემა, მაგრამ ჩვენის ფიქრით შინაარსი ლოცვისა არაა თვით ლოცვა... ხელოვნურად დაწერილი ლექსი, თუნდ „სამშობლო ხევსურისა“ ჰკარგავს თავისს მიმზიდველობას, თვისს ელფერს, თვისს სილამაზეს, როდესაც მისი შინაარსის გადაცემას მოისურვებენ ესრედ წოდებულის **თავისა სიტყვების** მეოხებით... მითუმეტეს ლოცვას ეკარგება თვისი მიმზიდველობა, როდესაც მოძღვარი სცდილობს ჩვეულებრივი სასაუბრო ენით გადასცეს მოწაფეებს მისი შინაარსი... ამის გამო ჩვენ მიგვაჩნია უფრო მიზანშესაბამად შემდეგს გამოცემაში მამა პლატონმა სრულებით განაძევოს ლოცვების შინაარსის თავისი სიტყვით გადაცემა... რაც უნდა ეცადოს მოძღვარი, რაც უნდა კარგის ენით გადასცეს ლოცვის შინაარსი მოწაფეს, უკანასკნელისთვის მაინც გაუგებარია ლოცვის ის ნაწილი, რომელსაც დოგმატებთან აქვს კავშირი. ეს მხარე ბავშვითვის საიდუმლოებით არის მოცული, და იმან, მეტი რა გზაა, ქედი უნდა მოიხაროს ამ საიდუმლოების წინაშე...

ლოცვების შინაარსის გადაცემა უნდა მიენდოს სჯულის მოძღვარს, ისიც მოკლედ და ზეპირად, ცოცხალი საუბრის მეოხებით. ამ შინაარსის გადაცემას თავისი სიტყვებით არ უნდა ჰქონდეს ადგილი სახელმძღვანელოდ დანიშნულს წიგნში... ქართული ლოცვის შინაარსი იმ მხრით, რა მხრითაც ეს შინაარსი ბავშვის გონებისათვის მისაწდომია, მოწაფე გაიგებს უფრო ვრცელად შესრულებულის **სიტყვების** და **წინადადებათა** განმარტებით. ჩვენ განძრახ ხაზს ვუსვამთ სიტყვას „**წინადადებათა**“, რადგან სწორედ მათი განმარტება არა აქვს მამა ცქიტიშვილს. ქართული ლოცვის ტექსტი, მართლა, არც ისე შორს სდგას აწინდელი ქართული ენის ლექსიკონზე, რომ მისი შინაარსის **ვრცელად** გადაცემა აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენდეს. მაგალითად მოვიყვანოთ, „**მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათაშინა**“... ამ წინადადებაში შეიძლება განმარტებანი შემდეგი სახით მოვახდინოთ: ა) „**ცათაშინა**“-ცაში (ფრაზის განმარტება); ბ) „**რომელი ხარ ცათაშინა**“, რომელიც ხარ, რომელიც ცხოვრობ, იმყოფები ცაში (წინადადების განმარტება)... ამ მოთხოვნილების ასასრულებლად შეიძლება წიგნში დაიბეჭდოს პირველად ლოცვის ტექსტი, ისე კი, რომ ძნელად გასაგები სიტყვების განმარტება ამავე სიტყვებს მოსდევდეს ფრჩხილებში, თუნდ ასე: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათაშინა (ცაში)... და ნუ შემიყვანებ მე განსაცდელსა (გაჭირვებაში)... ამის მსგავსად უნდა დამთავრდეს ლოცვის მთელი ტექსტი მეორე ადგილი შეიძლება დავუთმოთ ამავე ტექსტის ზოგიერთ ცალკე წინადადებათა განმარტებას, მაგალითად, „და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენი“—„გვაპატიე ჩვენ ცოდვები ჩვენი“. ნუ დავივიწყებთ, რომ პირველს ადგილს მოთავსებულს ტექსტში განმარტებული იყვნენ მხოლოდ კერძო სიტყვები: „მომიტევენ“ (გვაპატივე) და „თანანადებნი“ (ცოდვები)... მესამე ადგილი წიგნში უნდა ეჭიროს თვით ტექსტს ლოცვისას შეუცვლელად და სიტყვათ და წინადადებათა განუმარტებლად... ლოცვების შესწავლა ამ სახით, ზეპირად ამ სამი საშუალების მეოხებით, არ წარმოადგენს დაუძლეველს სიძნელეს... მაგრამ ნამეტანი ზეპირობა არც ცოდნის ამ დარგშია გამოსადეგი.

სასურველია, რომ მამა პლატონმა თავისი წიგნაკის შემდეგს გამოცემაში შეიტანოს ჩვენ მიერ ნაჩვენები ცვლილებანი და მიუმატოს ქართველი წმინდანების ტროპარები (ოსითა), რომელნიც დაწერილნი არიან მშვენიერი პოეტური ქართული ენით... ჩვენს დუხჭირს დროში ქართველს ბავშვს რაც უფრო მეტი ძველი წიგნი და და ქართული სიტყვა ესმის და ნებსით თუ უნებლიედ იმახსოვრებს, ისა სჯობია... ძველი ქართული თავისი სიმკვეთრით და სიძლიერით დიახ მაღლა სდგას აწინდელს ქართულს ენაზე...

მამა პლატონ ცქიტიშვილის მიერ გამოცემული ლოცვანი თვისი აწინდელი სახითაც შეიძლება ჩავთვალოთ ქართველ მოწაფეთათვის კარგს სახელმძღვანელოდ...

გამოცემის გარეგანი მხარე გვარიანს შთაბეჭდილებას ახდენს: ქაღალდი კარგია, ასოები შესაფერისი, სურათებს არაუშავს რა.

**ილ. ფერაძე.**

*) იხ. „სამშობლო“ № 89.

---

## ღია ბარათი,

(ბატ. ივანე ისაკის-ძეს პურადაშვილს).

ბატონო ივან ისაკის-ძევ! გაზეთ „სამშობლოს“ 75-ე № ში თქვენ ეკამათებით „ზავაკ.რეზის“ კორესპონდენტს ბატ. მოკავეძის, სადაც, სხვათა შორის, მეც მიხსენიებთ საქმის ვითარების გამოსარკვევათ; მე ამაში საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მხოლოდ მინდა გავიგო თუ რათ დაგჭირდათ იმ „ირონიის“ ხმარება, რომელიც ჩემზე გაქვთ ნახმარი და ამით საზოგადოება ეჭვში შეგყავთ. თქვე დალოცვილო, სწერთ „ყოვლად ცნობილი“ დათიკო ქებაძის წინადადება იყო, რომელიც კრებამ მიიღო და არა ჩემიო. რათ არ იცით განათლებულმა კაცმა, რომ სიტყვა „ყოვლად ცნობილი“ ბევრ ნაირად აიხსნება: ბევრს შეუძლია იფიქროს ამ სიტყვებით, დათიკო ქებაძე ცნობილია როგორც ავაზაკი, ქურდი და სხვა.

ბატ. ივან ისაკის-ძევ! მე იმას ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე უარყოფითი მხარე არ მქონდეს, მაგრამ ის კი თამამათ შემიძლია გითხრათ, რომ საზოგადოების წინაშე არაფერი დამიშავებია, თამამათ ვიტყვი — არ ჩამიდენია ავაზაკობა, ქურდობა, მითვისება, დაღატი და სხვა. თუმცა მქონდა დრო მესარგებლებია, მაგრამ არა თუ არ ვისარგებლე, პირიქით ჩემი ჯიბიდან სხვები ვასარგებლე.

თუმც ვინმე გამოჩნდება, რომ იმ „ჩემ დროს“ ვინმესაგან რამე მისარგებლებია ან და ვინმესთვის მავნეობა მექნია ავაზაკობით, ქურდობით, კაცის კვლით, ან ცარცვა გლეჯით, გთხოვთ ბატ ივანე ისაკისძევ, გამოაშკარავოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გთხოვთ განმარტება მისცეთ თქვენ სიტყვებს, თუ რა აზრით გაქვთ ნახმარი სიტყვა „ყოვლად ცნობილი“

იმედია არ დაიზარებთ და არ იუკადრისებთ პასუხის მიცემას.

**დათიკო ქებაძე.**

---

## სია.

ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სასარგებლოთ 10 მაისს გამართულ სეირნობისათვის შემოსწირეს:

ბ-მა დავით ბესარიონის ძემ ხელთუფლიშვილმა 5 მან. ფულათ. ანნა ოქროპირის ასულმა ბუაძისამ და თამარა კილაძის ასულმა შემდეგ პირთაგან მოაგროვეს შეწირულობა: მარიამ აბდალაძისაგან 2 აბაზი, ოლღა ბუჩუაძისაგან 2 აბაზი. ბათურო გეორგაძისაგან 1 მან. პასიკო სულავასაგან 1 მან. ოლღა საჩკოვისაგან 3 შაური. ელპიტე კოღუაშვილისაგან 10 შ. ოლღა ქოიავასაგან 1 მან. პელაგია ქოიავასაგან 1 მან. თეო ჭეიშვილისაგან 10 შ. აგრაფინე თოფურიასაგან 10 შ. ედუკი ჯღარკავასაგან 10 შ. ზინა ბოდოკიასაგან 3 აბაზი. კატო ბერძენისაგან 3 შ. მელიტონ ნიკოლეიშვილისაგან 10 შ. ლუბა ძოძუაშვილისაგან 1 მან. ბარბალე ჭეიშვილისაგან 1 მან. ქეთო როფაქიძისაგან 1 მან. ეკატერინე ნიკოლაძისაგან 1 მან. ანდრია კაპანაძისაგან 1 მან. ნუშა ახვლედიანისამ 10 შ. იულია დოლაბერიძისამ 10 შ. და 4 არშინი საბლუზე ჩითი ძმ. ვაჭრებმა ეფრემიძეებმა 6 შ. გიორგი ფხაკაძემ 3 პაჩკა პაპიროსი. მარ. ხალიპოვისაგან 2 აბ. ვ. ჭეიშვილისაგან 2 შ. ოლღა ქირაქაძისაგან 10 შ. ოლინკა გვეტაძისაგან 10 შაური. ალექსანდრე მებუკესაგან 1 მან. [illegible] მეუღლისაგან ორი საკაბე. [illegible]ლისაგან 1 აბ. ვარლამ [illegible]საგან 10 შ. და ერთი პაჩკა პაპიროსი. არსენ ძოწიაშვილისაგან 1 პაჩკა ჩაი, 1 პაჩკა პაპიროსი, 1 ჩაინიკი. მიშა მადაკოვმა 1 აბ. აგრაფინა ქორიძისამ 1 აბ. ვერა ნოდიასამ 1 აბ, დომენტი ჭეიშვილმა ერთი ნაჭერი საპონი. ვარლამ კახიანმა 1 შუშა ოდეკალონი; ამბროსი ხვინგიამ 1 გრაფინი და 1 საშაქრე. ბესარიონ სვანაძემ 2 შ. იოსებ მარგველაშვილმა 1 კოლოფი პაპიროსი. ალექსანდრე გალდავაძემ 1 ნაჭერი საპონი. მარუსია ერისთავისამ 10 შ. მარიამ ბასილაძისამ 1 პირსახოცის არშია. ვაჭრებმა მოსე შენგელიამ და ბალანჩივაძემ 1 საყავე. ალექსანდრა პეტრეს ასულმა ლოსაბერიძისამ 6 მან. ვაჭრებმა ძმ. რუხაძეებმა 1 ტაშტი ხელის საბანი და ძაბრი. ალექსანდრე ჭეიშვილმა 1 მან. რაჟდენ შავგულიძემ 1 მან. იოსებ სალდაძემ 10 შ. რაჟდენ ჯავახაძემ 1 მან. ვაჭია აბაშიძისამ 3 მან. გიორგი ლექავამ 5 ბოთლი ღვინო. ირინე ბაბუნაშვილისამ 1 აბ. მოწაფე კოლია ბობოხიძემ 1 მან. ლიუბა აბდალაძემ 1 მან. ოლია ჩიქოვანისამ 1 დიდი მურაბის ვაზა. რებეკა რუსაძისამ 1 ბალიშის არშია. ანნა ჭეიშვილისამ 1 შ. ალექსანდრე ხარაბაძემ 1 მან. სერჟენტიკმა 1 შუშა დუხი. ბექაიას მაღაზიამ 1 პატარა შეკვრა პეჩენიე, 1 კოლოფი მორმელადი ორი კოლოფი კონსერვი და პატარა კოლოფი მონპასიე. ბახტაძის მაღაზიიდგან 1 ალბომი. ვიკტორ ჯაფარიძისაგან 5 მან. რაჟდენ ბუაძისაგან 2 მან. პელაგია კილაძისაგან სასუფრეზე გადასაფარებელი.

---

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

დაიბეჭდა და იყიდება ქ. **ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. **ფასი ყდით 2 აბაზი.**

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к.** კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „**ქაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია**“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

24 მაისიდან თფილისში გამოდის ნაცვლად ჟურნალ „კლდისა“ ყოველ-დღიური გაზეთი

„საქართველო“

ფასი წლის დამლევამდე 5 მან. პირველ ოქტომბრამდე 3 მან. „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ გადახდილი, გაზეთი გაეგზავნებათ 1 მკათათვემდე.

ადრესი: Тифлисъ, Московская ул. № 4.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**

**ქ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

**კატალოგები უფასოთ** თ.

ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი

**აბანო.** აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჰკურნავს გასაკვირველად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნაძვნარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდი.

თ. 215